



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



განათლების განვითარების  
და დასაქმების ცენტრი



# იდეების კონკურსი - სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის

## 1. ზოგადი ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“, „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“ და „საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“ პარტნიორობით აცხადებს „იდეების კონკურსს“ სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის.


სოციალური საწარმო - ბიზნესი სოციალური მისიით - საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. სოციალური მეწარმეები ინოვაციური მიდგომებით და ბიზნეს სტრატეგიებით აგვარებენ საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს.

**საგრანტო კონკურსის მიზანია:** საქართველოში სხვადასხვა სოციალური მისიის მქონე წარმატებული სოციალური საწარმოების დაფუძნება და ამ გზით სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა.

კონკურსი ცხადდება ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში.

## 2. კონკურსის ეტაპები, განრიგი და მონაწილეობის უფლება

სოციალური მისიის მქონე, ინოვაციური ბიზნეს იდეის ავტორებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ 2 ეტაპიან საგრანტო კონკურსში და საკუთარი იდეა აქციონ რეალობად.



## I ეტაპი - იდეების კონკურსი

იდეების კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი);
- საინიციატივო ჯგუფებს;<sup>1</sup>
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სოციალური საწარმოს იდეის ინიციატორი და განმახორციელებელი უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საინიციატივო ჯგუფის სულ მცირე 2 წევრისაგან შემდგარი გუნდი, რომელთა ასაკი აღემატება 18 წელს.

საგრანტო დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია როგორც პროდუქტის/სერვისის მწარმოებელი სოციალური საწარმოს აგრეთვე სოციალური სერვისის<sup>2</sup> მიმწოდებელი სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად.

<sup>1</sup> კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, საინიციატივო ჯგუფებისთვის აუცილებელი იქნება საზოგადოებრივ ორგანიზაციად დარეგისტრირება.

<sup>2</sup> ზოგადი განმარტების თანახმად, სოციალური მომსახურება (სოციალური სერვისები) მოიცავს სხვადასხვა სახის მომსახურებას, რომელიც მიმართულია თემის / საზოგადოების სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისა და კეთილდღეობის ამაღლებისაკენ, როგორცაა, მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, თავშესაფრითა და საკვებით უზრუნველყოფა, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, სხვადასხვა საქონლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კონკურსანტებმა თანდართულ სააპლიკაციო ფორმაში უნდა დაასაბუთონ წარმოდგენილი იდეის ინოვაციურობა, სიცოცხლისუნარიანობა და შესაბამისობა საგრანტო კონკურსის პირობებთან.

**განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადა: 2017 წლის 24 მაისი, 18:00 სთ**

განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ, საგრანტო კომისიის მიერ განაცხადების პირველადი გადარჩევის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებს მოვიწვევთ საკუთარი იდეის პრეზენტაციისთვის.

**კონკურსის I ეტაპზე, თითოეული პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

- ორგანიზაციის/საინიციატივო ჯგუფის შესაძლებლობები წარმოდგენილი პროექტის განსახორციელებლად, მისი შესაბამისობა ორგანიზაციის მისიასთან და მიზნებთან: 20 ქულა;
- იდეის ინოვაციურობა/ორიგინალურობა: 20 ქულა;
- პროექტის სოციალური გავლენა: 40 ქულა;
- იდეის განხორციელებადობა და ბიზნეს გეგმა: 20.

მოწვეულ კანდიდატებს შორის, კონკურსის შედეგად შეირჩევა 16 საუკეთესო იდეის ავტორი ჯგუფი (თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს 2 მონაწილე) საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, კონკურსში ჩაერთვება 32 მონაწილე;

**II ეტაპი - საგრანტო კონკურსი I ეტაპზე გამარჯვებულებს შორის**

„იდეების კონკურსის“ შედეგად შერჩეული კონკურსანტები გაივლიან „სოციალური მეწარმეობის განვითარების ლაბორატორიის“ სპეციალურად მათთვის შემუშავებულ, ინტენსიური ტრენინგების კურსს, რომელიც დაეხმარებათ:

- შეიძინონ სოციალური საწარმოს განვითარებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები;
- „სოციალური მეწარმეობის განვითარების ლაბორატორიის“ ექსპერტთა გუნდთან ერთად განავითარონ საკუთარი ბიზნეს გეგმები;
- მოიპოვონ საგრანტო დაფინანსება.

ტრენინგ კურსის დასრულების შემდეგ, დახურულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტები წარმოადგენენ სოციალური საწარმოს სრულ ბიზნეს გეგმებს.

საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩევა 4 ან 5 საუკეთესო ბიზნეს გეგმა.

პროექტებს შეაფასებს და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ბიზნესისა და მარკეტინგის სპეციალისტებით.

დაფინანსებული საწარმოები 1 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან ექსპერტული მხარდაჭერით დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

მონაწილეებს, რომელთა ბიზნეს გეგმაც ვერ გაიმარჯვებს კონკურსში, პროექტის ექსპერტთა გუნდი დაეხმარება მოიძიონ დაფინანსება სხვა შესაძლო წყაროებიდან.

### **3. კონკურსის ფინანსური საკითხები**

სოციალური საწარმოს დასაფუძნებლად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება შეიძლება მერყეობდეს: 2000 ევროდან 8000 ევრომდე. პროექტის დაფინანსების აუცილებელი პირობაა არანაკლებ 10% - იანი ფულადი თანადაფინანსების უზრუნველყოფა.

**საგრანტო თანხის მოხმარება ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის:**

- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- მასალა/ნედლეულის შეძენა;
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;
- ჰონორარების გაცემა იმ მოწვეულ სპეციალისტებზე (ბუღალტრული მომსახურება, ტრენინგები, ა.შ) რომელთა ექსპერტული მხარდაჭერაც აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისთვის, საგრანტო თანხის არაუმეტეს 25%.

**გამონაკლის შემთხვევებში, შესაბამისი დასაბუთებისას, შესაძლოა დაფინანსდეს:**

- სარემონტო სამუშაოები, საგრანტო თანხის არაუმეტეს 20 %;
- ფართის იჯარა.

**საგრანტო თანხის მოხმარება ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის:**

- საწარმოს მენეჯმენტის ხელფასის გაცემა;
- უძრავი ქონების შესყიდვა/აშენება.

#### 4. პროექტის კონცეფციის განაცხადის წარდგენა

საპროექტო განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე: [social.enterprise.ge@gmail.com](mailto:social.enterprise.ge@gmail.com)

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადა: 2017 წლის 24 მაისი, 18:00 სთ.

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ თანდართული სააპლიკაციო ფორმის შესაბამისად, განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

#### 5. დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებისთვის

კონკურსანტების ინფორმირება:

კონკურსის I ეტაპზე, კონცეფციის განაცხადების მიღების პერიოდში, ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. საკონსულტაციო შეხვედრაზე დასარეგისტრირებლად დაგვიკავშირდით მინიმუმ 4 დღით ადრე.

სატელეფონო კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სამუშაო დღეებში, დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი თბილისი, დელისის 1 შესახვევი 5ა, ტელ: (+995 32) 2399019/18, საკონტაქტო პირი: ლიკა დარჩია

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შესახვევი, # 3, ტელ: (+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი

საკონსულტაციო შეხვედრების ქალაქები	საკონსულტაციო შეხვედრის თარიღი	შეხვედრის ადგილი	საკონტაქტო პირი
თბილისი	4 მაისი; 13:00 სთ	შალვა დადიანის ქუჩა #2/1 (საინფორმაციო ცენტრი ნატოს და ევროკავშირის შესახებ)	ტელ: (+995 32) 2399019/18, საკონტაქტო პირი: ლიკა დარჩია
გორი	8 მაისი; 13:00 სთ	გრიგოლ ფერაძის #5 (ჭალის დასახლება, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზი)	ტელ: (+995 32) 2399019/18, საკონტაქტო პირი: ლიკა დარჩია
ახალციხე	11 მაისი, 13:00 სთ	მანველიშვილის ქ. #19 (ახალციხის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი)	ტელ: (+995 32) 2399019/18, საკონტაქტო პირი: ლიკა დარჩია

თელავი	17 მაისი, 13:00 სთ	გ. არსენიშვილის #2 (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თელავის ოფისი)	ტელ: (+995 32) 2399019/18, საკონტაქტო პირი: ლიკა დარჩია
ბათუმი	4 მაისი, 12:00 სთ	ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქუჩა #20 (NIMD-ის ოფისი)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
მესტია	8 მაისი, 14:00 სთ	სეტის მოედანი #1 (გამგეობის შენობა)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
ტყიბული	10 მაისი, 12:00 სთ	გელათის ქუჩა #20 (ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის ოფისი)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
ჭიათურა	15 მაისი, 12:00 სთ	ნინოშვილის ქუჩა #12 (ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ ოფისი)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
ფოთი	16 მაისი, 14:00 სთ	9 აპრილის ქუჩა #15 (ქალაქ ფოთის ტურიზმის განვითარების ცენტრის ოფისი)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
ონი	17 მაისი, 13:00 სთ	კახაბერის ქუჩა #3 (კულტურის სახლის შენობა)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
ქუთაისი	18 მაისი, 12:00 სთ	ინგოროყვას ქ. #64 (განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ოფისი)	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი
ოზურგეთი	19 მაისი, 13:00 სთ	შეხვედრის ადგილი დაზუსტდება	(+995 431) 251330; საკონტაქტო პირი: მარიამ კლდიაშვილი

საკონსულტაციო შეხვედრებზე დარეგისტრირებულ პირებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია შეხვედრის ადგილთან და დროსთან დაკავშირებით.

### კონკურსის მნიშვნელოვანი თარიღები:

ღონისძიება	თარიღი
იდეების კონკურსის გამოცხადება	27 აპრილი, 2017
იდეის განაცხადების მიღების ბოლო ვადა	24 მაისი, 2017

შერჩეული პროექტების ავტორების მოწვევა შეხვედრაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად	7-9 ივნისი, 2017
ტრენინგების ციკლი	19 ივნისი - 14 ივლისი, 2017
სრული ბიზნეს გეგმის წარმოდგენა (დახურული კონკურსი)	27 ივლისი
საგრანტო განაცხადების შერჩევა დაფინანსებისათვის	აგვისტო, 2017
კონტრაქტების გაფორმება გამარჯვებულ ორგანიზაციებთან	სექტემბერი, 2017

წინამდებარე პუბლიკაცია განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი და საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.